# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №153

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის” მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

**2. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ **სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მისი დირექტორი ირაკლი ათუნაშვილის სახით** (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „გვრიტი” ს/ნ 224068577 მისი მენეჯერის გელა ჭალიძის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის:

**3. ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანი: ელ. მრიცხველის შეძენა.

3.2 დაფინანსების წყარო - **საკუთარი შემოსავლები.**

3.3 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

3.4 შესყიდვის კატეგორია – (CPV) კოდი –CPV 38551000 ენერგომრიცხველები - 195,00 (ას ოთხმოცდა თხუთმეტი) ლარი.

**4. ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. მისაწოდებელი **საქონლის** საერთო ღირებულება შეადგენს **195-00** (ას ოთხმოცდა თხუთმეტი) **ლარს** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

**5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსტხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გატვალისწინებულ ვადაში.

5.4.მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს შესყიდული საქონელი. საქონლის მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღე.

**6.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
6.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას სემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი.
6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობიტ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების შესახებ.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით შეტყობინებიდან 2 (ორი) დრეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

**7. მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი საგადასახდო დოკუმენტის, „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლება მოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

**8. ანგარიშსწორება**

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში:

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო . გადარიცხვა მოხდება მიმწონებლის საბანკო ანგარიშზე.

**9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დაბატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების ,მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**10. ფორს-მაჟორი**

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

**11.. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4.. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

11..2. იმ შემთხვევაშუ თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2(ორი) პროცენტს,შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსლია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველს ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.
11.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეულ მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება,თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას,ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემტხვევაში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილ სხვა შემთხვევაში.
12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და

მოქმედებს: **ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**
(რიცხვი, თვე, წელი)

14..2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად:

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი ორგანიზაცია:** | **მიმწოდებელი:** |
| **ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის)** | |
| **პროფესიული სახელმწიფო** | |
| **დრამატული თეატრი** | **შპს „ბვრიტი“** |
| ქ. ახალციხე ,თამარ მეფის ქ. №6 | ქ. ახალციხე, დიდიმამიშვილის 4 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს. პროკრედიტ ბანკი |
| სახაზინო კოდი TRSEGE22 | ბანკის კოდი MIBGGE22 |
| ს/კ 224072928 | ს/კ 224068577 |
| ანგარიში № **708277015** | ანგარიში №GE14PC0663600100000346 |
| **დირექტორი: ი. ათუნაშვილი** | **გ. ჭალიძე** |
| _____ | _____ |

LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre

Digitally signed by LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre
Date: 2019.12.12 12:07:04 +04'00'